# ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელება საქართველოში

## მონიტორინგის შედეგები

**2016 წელი**

www.ombudsman.ge

## წინათქმა

მსოფლიო პრაქტიკა ომისა და მშვიდობის ახალ მოდელში აერთიანებს ქალების ჩართულობას სამი მიმართულებით: ქალების დაცვა შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ქალების მონაწილეობა საომარი მოქმედებების პრევენციასა და თავიდან არიდებაში, ქალების მონაწილება გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ყველა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

2000 წლის 31 ოქტომბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ ერთხმად მიიღო რეზოლუცია 1325 – „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“, რომელიც, თანმდევ რეზოლუციებთან ერთად აღიარებს გოგონებისა და ქალების განსაკუთრებულ მნიშვნელობას და საჭიროებებს კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ ვითარებაში.

განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა საქართველოს მიერ გადადგმული ნაბიჯების აღნიშვნა ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების მიმართულებით. 2011 წლის 27 დეკემბერს ეროვნული სამოქმედო გეგმა დამტკიცდა და ეროვნული საკოორდინაციო ჯგუფი შეიქმნა, რომელიც  სამოქმედო გეგმის განხორციელების პარალელურად მუშაობდა თავდაპირველად საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს, ხოლო შემდგომ, საქართველოს პრემიერ–მინისტრის სამდივნოს ხელმძღვანელობით.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ჩართული იყო ეროვნული საკოორდინაციო ჯგუფის საქმიანობაში სათათბირო ხმის უფლებით და ამასთან, 2015 წელს, გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგი განახორციელა, რომლის ძირითადი მიზანი ეროვნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების გადახედვა იყო.

მონიტორინგის შედეგებმა ცხადყო, რომ სამოქმედო გეგმა ფაქტიურად არ ასახულა იმ მოსახლეობაზე, რომელსაც განსაკუთრებული საჭიროებები აქვთ ამ მიმართულებით. ოკუპირებული რეგიონების მიმდებარე სოფლებსა და დევნილთა ჩასახლებებში მცხოვრები ქალები ძალიან ბევრი პრობლემის წინაშე დგანან, თუმცა მათზე მიმართული დამცავი თუ სარეაბილიტაციო ღონისძიებების ნაკლებობა თვალსაჩინოა.

წარმოგიდგენთ მონიტორინგის შედეგებს და იმედს ვიტოვებთ, რომ გათვალისწინებული იქნება შემდგომი ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების ყველა ეტაპზე.

უჩა ნანუაშვილი

საქართველოს სახალხო დამცველი

## შესავალი და მეთოდოლოგია

გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ განსაზღვრულ სტანდარტებთან მისაახლოებლად, ერთ–ერთ აუცილებელ წინაპირობას რეზოლუციების №№1325, 1820, 1888, 1889 და 1960 პრინციპების გაზიარება და დანერგვა წარმოადგენს. მით უფრო, რომ საქართველოში კონფლიქტის შედეგად დაზარალებული და დევნილი მოსახლეობის რიცხვი ძალიან მაღალია. ამავდროულად, საქართველოს ტერიტორიის მიმდინარე ოკუპაცია მათ განსაკუთრებული რისკებისა და საჭიროებების წინაშე აყენებს.

აღსანიშნავია, რომ კვლავ დაბალია გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალთა მონაწილეობის მაჩვენებელი, რაც თავისთავად გენდერული უთანასწორობის მაჩვენებელია. მიჩნეულია, რომ კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ სიტუაციებში ქალების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა. სამშვიდობო პროცესებში მათი მონაწილეობა კი დაბალანსებული და ორივე სქესის წარმომადგენელთა ინტერესებისათვის თანაბრად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებადაა მნიშვნელოვანი.

2011 წელს საქართველოს პარლამენტმა „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს №№1325, 1820, 1888, 1889 და 1960 რეზოლუციების განსახორციელებელი 2012–2015 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა დაამტკიცა, რომელიც ქვეყანაში რეზოლუციების პრინციპების დანერგვას ემსახურებოდა. სახელმწიფო სამოქმედო გეგმაში გაწერილი ამოცანები უკავშირდება როგორც ქალთა ჩართულობის გაზრდას, ასევე ომისა და კონფლიქტების შედეგად დაზარალებული პირებისათვის განკუთვნილი სარეაბილიტაციო და დაცვის ღონისძიებების შემუშავებას. ამასთან, მიზნად ისახავს სახელმწიფო სტრუქტურებში რეზოლუციების პრინციპების დანერგვას და გატარებას.

2015 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს №№1325, 1820, 1888, 1889 და 1960 რეზოლუციების განსახორციელებელი 2012–2015 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის (შემდგომში ეროვნული სამოქმედო გეგმა) მონიტორინგი განახორციელა. მონიტორინგის ძირითადი მიზანი ეროვნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების გადახედვა იყო.

ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ძირითად წყაროს შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებების საქმიანობის შეფასება წარმოადგენდა. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის, როგორც ადამიანის უფლებათა დამცველი ინსტიტუტისთვის, მნიშვნელოვანი იყო მონიტორინგის დროს, დაინტერესებულ პირებთან მიმართებაში, ორიენტირი გეგმის ზეგავლენასა და მიზნებისა და შედეგების თანხვედრაზე გაეკეთებინა.

აღსანიშნავია, რომ 2014 წელს გაერთიანებული ერების ქალთა ორგანიზაციამ სამოქმედო გეგმის „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს № №1325, 1820, 1888, 1889 და 1960 რეზოლუციების განსახორციელებელი 2012–2015 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის“ შუალედური შეფასება მოამზადა. შეფასების ანგარიშში მიმოხილულია ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების დადებითი მხარეები და სუსტი წერტილები. აღნიშნული კვლევის მიგნებები გათვალისწინებული იყო მონიტორინგის დაგეგმვის პროცესში.

მონიტორინგის პირველი ეტაპი სამოქმედო გეგმაში მითითებული პასუხისმგებელი ორგანიზაციებისაგან შესრულებული აქტივობების შესახებ ინფორმაციის მიღებას მოიცავდა. მეორე ეტაპზე დაიგეგმა აღნიშნული სტრუქტურების წარმომადგენლებთან ჩაღრმავებული ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფის შეხვედრები. მესამე ეტაპი კი მიზნად ისახავდა დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებსა და საოკუპაციო ზოლის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ პირებთან შეხვედრებს და მათი საჭიროებების ანალიზს.

მონიტორინგის ფარგლებში ჩატარდა ფოკუს-ჯგუფები ოკუპირებული რეგიონების მიმდებარე სოფლებსა და დევნილთა ჩასახლებებში[1] მცხოვრებ ქალებთან, რომლებმაც მათ წინაშე მდგარ პრობლემებსა და საჭიროებებზე ისაუბრეს. შეხვედრებზე განხილული იყო ის საკითხები, რომლებიც აქტუალურია, ეხმიანება ქალთა უფლებების დაცვას და შესაძლოა გარკვეულწილად აფერხებდეს მათ რეალიზებას.

ინფორმაციის მოპოვების მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელშეწყობით, მოეწყო ფოკუს ჯგუფის შეხვედრა, რომელსაც სხვადასხვა რაიონის საპატრულო პოლიციის თანამშრომლები და უბნის ინსპექტორ გამომძიებლები დაესწრნენ.[2] მონიტორინგის ფარგლებში ასევე, ფოკუს ჯგუფის შეხვედრა ჩატარდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენდერის მრჩეველებთან,[3] რომელიც გატარებული ღონისძიებების შესახებ სიღრმისეული ინფორმაციის მოპოვებას ისახავდა მიზად. ჯგუფთან შეხვედრის შედეგად შესაძლებელი გახდა სამინისტროს ქვედა დონეებზე არსებული პრობლემების შესახებ ინფორმაციისა და გეგმის შედეგად მიღწეული შედეგების პირველწყაროდან მიღება.

მონიტორინგის დროს გამოვლენილ შედეგებზე დაყრდნობით მომზადდა რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს გეგმის განმახორციელებელ სტრუქტურებს დაინახონ არსებული

---

[1] შეხვედრები ჩატარდა: სოფ. ხურვალეთში (დევნილთა დასახლება) წეროვანში (დევნილთა დასახლება), ტირძნისში 26.10.15/ ტირძნისში 27.10.15/ სოფ. ურულუ, ოქტომბერი, ზუგდიდი 28.10.15/

[2] შეხვედრა შსს-ს აკადემიაში 02.12.15/ შეხვედრას დაესწრო შინაგან საქმეთა სამინისტროს 8 თანამშრომელი.

[3] შეხვედრა თავდაცვის სამინისტროში 10.11.15 შეხვედრას დაესწრო თავდაცვის სამინისტროს 6 თანამშრომელი.

ხარვეზები, რათა სამომავლოდ შემუშავებულ იქნას ისეთი გეგმა, რომელიც რეალურ ზეგავლენას იქონიებს სამიზნე ჯგუფებზე.

## მიმართულება I

**მონაწილეობა: გადაწყვეტილების მიმღებთა დონეზე ქალთა მონაწილეობა კონფლიქტის აღმოფხვრის, პრევენციისა და მართვის პროცესში**

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325 აქცენტს აკეთებს კონფლიქტის განსაკუთრებით უარყოფით გავლენაზე ქალების მიმართ და აღიარებს მათ უმნიშვნელოვანეს წვლილს მშვიდობის, უსაფრთხოების და შერიგების პროცესებში. რეზოლუცია სახელმწიფოებს კონფლიქტების პრევენციისა და მართვის პროცესში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდისკენ მოუწოდებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამშვიდობო შეთანხმებების განხორციელებაში გენდერული პერსპექტივების გათვალისწინებას, ადგილობრივ დონეზე ქალთა სამშვიდობო ინიციატივების, ქალთა და გოგონათა უფლებების დაცვის ჩათვლით. განიარაღების, დემობილიზაციისა და რეინტეგრაციის გენდერულ ასპექტებს და მშვიდობისმყოფელთა ტრენინგების საჭიროებას გენდერის საკითხებში.

ეროვნული სამოქმედო გეგმის პირველი მიმართულებაც სწორედ მნიშვნელოვან პრინციპს - კონფლიქტების პრევენციისა და მართვის პროცესში ქალთა მონაწილეობას ეხმიანება. მიზნის მისაღწევად გეგმაში გაწერილია ქალთა მონაწილეობის გაზრდის ხელშემწყობი საქმიანობები, რომელთაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა უნდა მოეხდინათ გადაწყვეტილების მიმღებთა დონეზე გენდერული ბალანსის მიღწევის საქმეში.

ეროვნული სამოქმედო გეგმის პირველი მიმართულების 1.1. ამოცანა – უსაფრთხოების სექტორში, გადაწყვეტილების მიმღებთა დონეზე ქალთა რაოდენობის გაზრდის ხელშესაწყობად დაგეგმილი ღონისძიებების უმრავლესობა საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს განსახორციელებელი იყო, თუმცა საბჭომ დაკისრებული ვალდებულებების დელეგირება შესაბამის სახელმწიფო უწყებებზე მოახდინა და 2014 წლიდან სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი აღმასრულებელი ხელისუფლება გახდა.[4]

აღნიშნული ამოცანის მიხედვით, დაგეგმილი იყო ღონისძიებები, რომლებიც სახელმწიფო სტრუქტურების მიერ დასაქმებულთა გადამზადებასა თუ სპეციალური ღონისძიებების დაგეგმვას ითვალისწინებდა. გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ ფუნქციების

[4] საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის წერილი #8026/1-2 / 01.09.2015.

დელეგირების შედეგად, მონიტორინგის ერთ-ერთი სამიზნე ჯგუფი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო გახდა.

საქართველოს შინაგან სამინისტროს წარმომადგენლებმა იმ სირთულეებზე ისაუბრეს, რომლებიც ქალებს, სამართალდამცავ სტრუქტურებში, გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციაზე მოხვედრისათვის ხვდებათ წინ. მოწოდებული ინფორმაციით იკვეთება, რომ ხშირ შემთხვევაში ქალები არ არიან აღქმულნი თანასწორად და საქმის გადანაწილების პროცესში სქესის გამო არ ხდება მათი შეხედულებების გათვალისწინება. მაგალითად, დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენს ქალებისათვის სამორიგეო საქმიანობის დავალება, ხოლო კაცებისთვის საველე სამუშაოების, პატრულირებისა თუ სხვა ოპერატიული საქმიანობის შესრულება, რაც ქალების უსაფრთხოების უზრუნველყოფით აიხსნება.

იგივე მიდგომა გამოიყენება საპატრულო პოლიციის გამოძახებებზე რეაგირების დროსაც, თუ შემთხვევა კონფლიქტებს ეხება, პრიორიტეტი კაც პატრულებს ენიჭებათ. თუმცა თვითონ თანამშრომლებმაც აღნიშნეს, რომ ხშირად, კონფლიქტური სიტუაციის განმუხტვა ქალ პატრულებს გაცილებით უკეთ გამოსდით, ვიდრე კაცებს. მათი შეხედულებით, ქალები სხვაგვარი დამოკიდებულებით ეკიდებიან საკითხს. ამასთან ერთ-ერთმა საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა აღნიშნა, რომ ნორმატივები ბევრ კაცზე მაღალი შეფასებით გაიარა და არ თვლის, რომ საპირისპირო სქესის კოლეგებისგან განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებს.

ქალთა მონაწილეობის გაზრდის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი იყო კარიერული დაწინაურების შესაძლებლობის მიდგომების და პრაქტიკის მიმოხილვა. როგორც ირკვევა, ქალების სამართალდამცავ სტრუქტურაში მუშაობის დაბალი დაინტერესების ერთ-ერთი განმაპირობებელი სწორედ დაწინაურების ნაკლები ალბათობაა. ქალს ძალიან ურთულდება არსებულ ვითარებაში გახდეს საპატრულო დანაყოფის ათმეთაური, ოცმეთაური ან ასმეთაური. ეს საკითხი უკავშირდება კაცების მხრიდან მიმღებლობას და იმ პირების არამგრძნობიარე განწყობებს, რომლებიც ამჟამად იღებენ თანამშრომელთა დაწინაურების შესახებ გადაწყვეტილებებს.

აღსანიშნავია, რომ საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიებზე უსაფრთხოების მოწესრიგება საპატრულო პოლიციის დანაყოფების პრეროპგატივაა, ხოლო თავდაცვის სამშვიდობო ძალები ამ მონაკვეთებში არ შედიან. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საპატრულო პოლიციის თანამშრომლების რეზოლუციების პრინციპების გათვალისწინებით გადამზადება, მათი მგრძნობელობის ამაღლება და ქალთა განსაკუთრებული საჭიროებების შესახებ ინფორმირება, რათა უკეთ შესძლონ მოსახლეობის მომსახურება და დაინახონ საჭიროებები, რეგიონების სპეციფიკის მხედველობაში მიღებით. თუმცა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებთან, მონიტორინგის დროს ჩატარებული გასაუბრებების შედეგებიდან ცალსახად იკვეთებოდა მათი დაბალი ინფორმირებულობის ხარისხი გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებთან მიმართებაში.

ეროვნული სამოქმედო გეგმის შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 1.3. ამოცანა – შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებსა და სამშვიდობო კონტიგენტში ქალთა მონაწილეობის მხარდაჭერისა და ამ შენაერთების ქალების მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე ინფორმირებულობის გაზრდისათვის დაგეგმილი ღონისძიებები სრულად გაატარა. გენდერულ საკითხებსა და გაეროს უშიშროების საბჭოს № №1325, 1820, 1888, 1889 და 1960 რეზოლუციების პრინციპების შესახებ სწავლებები აქტიურად უტარდებათ გადასროლის წინა მომზადებაში მყოფ ISAF-ის მისიაში გასაგზავნ სამხედრო მოსამსახურეებს. 2014 წლის მანძილზე გადამზადდა 1600, ხოლო 2015 წელს 700 სამხედრო მოსამსახურე. რეზოლუციების შესახებ სწავლებები ასევე შეტანილ იქნა როგორც საბაკალავრო, ასევე ოფიცრის საკარიერო სკოლების სასწავლო პროგრამებში. სულ აკადემიის სკოლებში 865 სამხედრო მოსამსახურე გადამზადდა **(საქმიანობა 1.3.2.).**

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,[5] გეგმის ფარგლებში გადაიხედა ფიზიკური ნორმატივები **(საქმიანობა 1.3.3.)**, რომლებიც ქალებისა და კაცებისათვის განსხვავებულია. მათი გადახედვა მნიშვნელოვანი იყო შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებსა და სამშვიდობო კონტიგენტში ქალთა მონაწილეობის სტიმულირებისათვის. აღნიშნული ინფორმაცია დაადასტურეს და მისი დადებითი მხარეების შესახებ ისაუბრეს სამინისტროს გენდერულმა მრჩეველებმა.

2014 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში დამტკიცდა გენდერული თანასწორობის სტრატეგია, რომლის მიზანს გენდერული დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა, ქალისა და კაცისათვის შესაძლებლობების რეალიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნა და გენდერული ძალადობის პრევენცია წარმოადგენს. აღნიშნული სტრატეგიის ფარგლებში სისტემაში გენდერული მრჩევლების ინსტიტუტი ჩამოყალიბდა. ასევე სამინისტროში შეიქმნა გენდერული თანასწორობის მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობა და თავდაცვის სისტემაში გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევების დაფიქსირებისას, შემთხვევაზე რეაგირების მიზნით შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების და უფლებამოსილი პირების ჩართვა დაევალა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან შეხვედრისას აღინიშნა რამდენიმე საკითხი, რომელიც გენდერული თანასწორობისა და ქალთა ჩართულობის კუთხით გარკვეულ პრობლემებს უკავშირდებოდა, თუმცა ამჟამად აღმოფხვრილია. მაგალითად, უკვე იკერება ქალებზე მორგებული სამხედრო ფორმები, რაც ადრე ხელმისაწვდომი არ იყო. საკანონმდებლო ბაზის გადახედვასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ სამხედრო სამსახურში მხოლოდ აღრიცხვაზე მყოფი პირების მიღება ხდებოდა, რაც ქალების მიღებას აფერხებდა. ბრძანების საფუძველზე მოხდა ქალების დაშვება სამხედრო სამსახურში. თუმცა იკვეთება, საკანონმდებლო ბაზის სიღრმისეული გადახედვის

[5] საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წერილი #6 15 00682451 / 21.08.2015.

საჭიროება, რათა უზრუნველყოფილ იქნას გენდერული ბალანსის დაცვა სისტემაში. საკანონმდებლო მიმოხილვა დაგეგმილია საჭიროებების ანალიზის პროცესში.

აღსანიშნავია, რომ გაზრდილია სამშვიდობო მისიებში ქალის ჩართულობა, ერაყსა და ავღანეთში ასეთ მისიებში სულ 219 ქალმა მიიღო მონაწილეობა. შეიარაღებულ ძალებში 7% ქალია[6].

როგორც ირკვევა, ხშირ შემთხვევაში ქალებს არ აქვთ სამხედრო განათლება, რაც მათ ხელმძღვანელ პოზიციაზე მოხვედრას უშლის ხელს. სამინისტროს მიერ გენდერული თანასწორობის კუთხით გაწეული სამუშაოს მიუხედავად, არსებობს ვარაუდი, რომ ბევრი კაცი არ ისურვებს მმართველ პოზიციაზე ქალის ყოფნას და ეს გარკვეულწილად აფერხებს ქალთა ჩართულობას, შესაბამისად აუცილებელია ცნობიერების ამაღლებასა და სამოქალაქო განათლებაზე მეტი აქცენტი გაკეთდეს. მეთაურებისთვის ტრენინგების ჩატარება ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რათა მათ გენდერული თანასწორობისა და რეზოლუციების შესახებ მეტი ინფორმაცია მიეწოდოთ.

რეგიონებში[7] ჩატარებული შეხვედრების შედეგად მნიშვნელოვანი პრობლემები გამოიკვეთა, რომელთა წინაშეც კონფლიქტის შედეგად დაზარალებული რეგიონების მიმდებარე სოფლებში მცხოვრები და დევნილი ქალები დგანან. იმ თემებში, სადაც თვითდახმარების ცენტრები[8] არის ჩამოყალიბებული, ქალთა ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე შესამჩნევად მაღალია. ტირძნისსა და პერევში არსებული თვითდახმარების ჯგუფების წევრები აქტიურად მონაწილეობენ ბიუჯეტის დაგეგმვაში, ეხმარებიან ადგილობრივ მოსახლეობას ჩართულობის თვალსაზრისით და წინ წევენ საკუთარ საჭიროებებს. ქალები ლობირებენ ბავშვთა სერვისების ხელმისაწვდომობის საკითხებსაც და ამ კუთხით მეტად აქტიურობენ ვიდრე კაცები. თუმცა როგორც აღინიშნა, ეს ჩართულობა მხოლოდ იმ სოფლებიდან არის, რომლებშიც თვითდახმარების ჯგუფებია ჩამოყალიბებული და სხვა, მოსაზღვრე სოფლები პროცესებში არ მონაწილეობენ.

ქალების ინტერესები არ არის გათვალისწინებული მონიტორინგის ფარგლებში შეფასებულ სხვა რეგიონებში.[9] დევნილთა ჩასახლებებში განსაკუთრებით მკვეთრად შეიმჩნევა მათი უგულებელყოფა. ადგილობრივი მოსახლეობა არ ფლობს ინფორმაციას ჩართულობის შესაძლებლობისა და გზების შესახებ. შესაბამისად ის მრავალი პრობლემა, რომელიც მათ აწუხებთ არ დგება დღის წესრიგში. თუმცა აშკარაა, რომ არსებობს ჩართულობის სურვილი და მზაობა ადგილობრივი ქალების მხრიდან. გარდა ჩართულობის გზების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობისა, ასევე გამოვლინდა ქალთა უგულებელყოფის სხვა შემთხვევები.

---

[6] საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წერილი #MOD 0 15 00874317; 22/10/2015.

[7] პერევი, ტირძნისი, ურულუ, ოქტომბერი.

[8] „ფონდი ტასოს“ მხარდაჭერით შექმნილი თვითდახმარების ჯგუფები.

[9] სოფ. ხურვალეთი (დევნილთა დასახლება) წეროვანი (დევნილთა დასახლება), ტირძნისი, ზუგდიდი, ურულუ, ოქტომბერი, პერევი.

როგორც ირკვევა, ჩართულობას ხშირად ხელს კაცები უშლიან, რადგან მიაჩნიათ, რომ ქალს არ აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს საჯარო განხილვებში და ოჯახის ინტერესებს საჯაროდ მხოლოდ კაცები უნდა იცავდნენ. თუმცა რეალობაში სრულიად არ ითვალისწინებენ ქალებისა და ბავშვების საჭიროებებს.

მონიტორინგის შედეგებმა ცხადყო, რომ აუცილებელია სამომავლოდ დაიგეგმოს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც გააძლიერებს თემს, ასწავლის მათ ადგილობრივ დონეზე ბიუჯეტირებისა თუ ღონისძიებების დაგეგმვის პროცესში მონაწილეობის გზებს და ამით კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას და ქალთა ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ადგილობრივ დონეზეც უფრო რეალურად აქცევს.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ სამომავლოდ ეს ხარვეზები აღმოიფხვრას და კონფლიქტის მოგვარების, პრევენციისა და მართვის პროცესებში, ქალთა მონაწილეობის გაზრდის კუთხით დაისახოს ისეთი ამოცანები, რომელებიც ხელშესახებ ცვლილებებს გამოიწვევს.

## მიმართულება II

**პრევენცია: კონფლიქტის პრევენციაში ქალთა საჭიროებების გათვალისწინება და ქალთა წინააღმდეგ მიმართული ყველა ფორმის ძალადობის აღკვეთა**

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1829 სახელმწიფოებს სპეციალური ზომების გატარებისკენ მოუწოდებს შეიარაღებულ კონფლიქტებში ქალთა და გოგონათა ძალადობისგან დასაცავად და მათთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად. რეზოლუციაში ყურადღებაა გამახვილებული მშვიდობისმყოფელთა როლზე და ქალი მშვიდობისმყოფელების რაოდენობის გაზრდის აუცილებლობაზე.

ეროვნული სამოქმედო გეგმის 2.2. ამოცანაზე – ოკუპირებული რეგიონების მიმდებარე ტერიტორიებზე და საჭიროების შემთხვევაში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მცხოვრებთა რისკებსა და საფრთხეებზე, მათ შორის, საფრთხეებზე, რომლებიც ქალებსა და ბავშვებს ეხება ინფორმირებულობის გაზრდა – შესრულებაზე პასუხისმგებელი ერთდროულად რამდენიმე სახელმწიფო სტრუქტურა იყო განსაზღვრული. მათ შორის საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, ეროვნული სამოქმედო გეგმით გაწერილი (**საქმიანობა 2.2.1.**) საქმიანობა არ შეუსრულებია იმ ნაწილში, სადაც საუბარია ოკუპირებული რეგიონების მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისათვის, განსაკუთრებით კი ქალებისა და გოგონებისთვის რისკებისა და საფრთხეების, ასევე ომის ფეთქებადი ნარჩენებისაგან გაწმენდითი სამუშაოების ჩატარების შესახებ ინფორმირებას. ამ შეფერხებას

სამინისტროს წარმომადგენლები იმით ხსნიან, რომ მათი აღნიშნულ ტერიტორიებზე შესვლა დამატებითი კონფლიქტის საბაბი შეიძლება გამხდარიყო, ამიტომ მიიჩნევენ, რომ გეგმაში თავიდანვე არ უნდა ყოფილიყვნენ აღნიშნული ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებად განსაზღვრულნი. თუმცა გამოითქვა მზაობა, რისკებისა და საფრთხეების შესახებ ინფორმაციის ნებისმიერი სტრუქტურისათვის მიწოდებასთან დაკავშირებით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, ოკუპირებული რეგიონების მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრებთა სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების სწავლების უზრუნველყოფის ხელშეწყობასთან **(საქმიანობა 2.2.2.)** დაკავშირებით, საჯარო სკოლებში სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების სწავლებას მე-6 კლასიდან 12-ე კლასის ჩათვლით, თითო სემესტრი ეთმობა.[10] საათების გადანაწილება განსხვავდება კლასების მიხედვით. სამინისტროს არ მოუწოდებია ინფორმაცია ოკუპირებული რეგიონების მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთა ინფორმირებულობის გაზრდასთან დაკავშირებული სხვა აქტივობების შესახებ.

რეგიონებში ჩატარებული შეხვედრების დროს, ოკუპირებული რეგიონების მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები პირები აღნიშნავდნენ ბავშვთა საჭიროებებს, რომლებიც მათი ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდას უკავშირდება. გამოითქვა უკმაყოფილება სამოქალაქო თავდაცვის გაკვეთილების ფორმალურ ხასიათთან დაკავშირებით, აღინიშნა, რომ კურსი ძალიან მწირ, ფორმალურ ინფორმაციას მოიცავს.

შეხვედრებზე დამსწრე პირთა უმრავლესობა საუბრობდა იმ პრობლემებზე, რომლებიც ქალებს კონფლიქტურ რეგიონებთან მდებარე სოფლებში აქვთ და ხაზგასმული იყო მათი როლი მშვიდობის მშენებლობის პროცესში. როგორც ირკვევა, ქალები კაცებზე ხშირად გადადიან ოკუპირებულ რეგიონებში, რათა თავიანთი სახლ-კარის შენარჩუნება და მოვლა შეძლონ, ასევე ინარჩუნებენ ურთიერთობას იქ მცხოვრებ პირებთან. მოსახლეობის აზრით, ქალების გადასვლა უფრო ხშირია, რადგან ითვლება, რომ ნაკლები საფრთხის შემცველია, ისინი ადვილად არ წამოეგებიან შესაძლო პროვოკაციაზე და არ გამოიწვევენ კონფლიქტს და თვითონ ქალებსაც ურჩევნიათ თავად გადავიდნენ, ეს უკვე ერთგვარი მიღებული წესია. თუმცა, მათ მიერ გასავლელი გზა დიდი რისკის შემცველია, ხშირია ქალების დაკავების ფაქტებიც.

ასევე ხშირია ქალების დაკავება მინდვრებზე კენკრის შეგროვების ან საქონლის მწყემსვის დროს, იმ ადგილებში, სადაც მავთულხლართები არ არის გავლებული და ძნელი მისახვედრია გადაიკვეთა თუ არა საოკუპაციო ზოლი. სწორედ ამიტომ, რისკების შემცირების და თავიდან არიდების მიზნით, აუცილებელია ქალების სათანადო ინფორმირება.

[10] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი # 2 15 00821510 / 27.08.2015.

მნიშვნელოვანია ახალი ეროვნული სამოქმედო გეგმის გაწერის დროს დაიგეგმოს აქტივობები, რომლებიც მეტად გაზრდის ოკუპირებული რეგიონების მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთა ინფორმირებულობას არსებული რისკების შესახებ, ვინაიდან ისინი ყოველდღიურად აწყდებიან საფრთხეს და პრობლემების მოგვარება საკუთარი ძალებით უწევთ. ამასთანავე, აუცილებელია ქალთა საჭიროებების გათვალისწინებისა და ქალთა წინააღმდეგ მიმართული ყველა ფორმის ძალადობის აღკვეთისათვის ისეთი ამოცანების დასახვა, რომლებიც გენდერულად მგრძნობიარე იქნება და მართლაც ასახავს სამიზნე ჯგუფის ინტერესებს.

## მიმართულება III

**პრევენცია: კონფლიქტის პრევენციაში ქალთა საჭიროებების გათვალისწინება და ქალთა წინააღმდეგ ყველა ფორმის, განსაკუთრებით სექსუალური და გენდერული ხასიათის ძალადობის აღკვეთა**

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1888 ყურადღებას ამახვილებს შეიარაღებული კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის საკითხზე და მოუწოდებს სახელმწიფოებს სამშვიდობო, ასევე დემობილიზაციის, განიარაღების, რეინტეგრაციის და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესებში სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხთა ჩართვისაკენ. რეზოლუციის თანახმად, გაეროს შიგნით იქმნება კონფლიქტებისას სექსუალურ ძალადობაზე რეაგირების ახალი მექანიზმები, გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით. პრიორიტეტად არის დასახული მედიაციისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა ჩართვა და გაეროს მისიებში ქალი პერსონალის წარმომადგენლობა.

სექსუალური ძალადობა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ძალადობის ფორმაა შეიარაღებული კონფლიქტების დროს, რომელიც ძირითად შემთხვევაში ქალების მიმართ ხორციელდება. მნიშვნელოვანია ყველა სახელმწიფომ გაიაზროს ამ მიმართულებით არსებული საფრთხეები და შექმნას კონფლიქტისა და კონფლიქტის შემდგომ პერიოდში ქალთა წინააღმდეგ სექსუალური და გენდერული ხასიათის ძალადობის პრევენციისა და რეაბილიტაციისკენ მიმართული ღონისძიებები.

ეროვნული სამოქმედო გეგმის 3.1. ამოცანა გენდერული და სექსუალური ძალადობის აღკვეთის, ქალებსა და გოგონებზე სექსუალური ძალადობის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის მისაღწევად განსახორციელებელ საქმიანობებს აერთიანებს. კერძოდ, ტრენინგებისა და სხვა სახის სწავლებების ორგანიზება, რომელიც საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ საკმაოდ ფართომასშტაბიანად ჩაატარა. გენდერულ საკითხებსა და გაეროს

უშიშროების საბჭოს № №1325, 1820, 1888, 1889 და 1960 რეზოლუციების პრინციპების შესახებ გადამზადდნენ როგორც გენდერული მრჩევლები, ასევე თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის ხელმძღვანელი პირები[11].

ამავე ამოცანის შემსრულებელი მეორე სტრუქტურა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო იყო. სსიპ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში“ არსებულ უბნის ინსპექტორთა და პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალურ საგანმანათლებლო პროგრამებს დაემატა სასწავლო კურსი „გენდერული თანასწორობა“, რომელიც, სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მოიცავს რეზოლუცია 1325–ს და მისი თანმდევი რეზოლუციების შესახებ ინფორმაციას.

2015 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით 3 ტრენინგი ჩატარდა, რომელიც გაიარეს უბნის ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - 109 მსმენელმა და პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - 89 მსმენელმა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გადაიხედა ფიზიკური ნორმატივები და სამინისტროს წარმომადგენლების ცნობით  გენდერული თანასწორობის მოთხოვნებს სრულად შეესაბამება.[12]

მიუხედავად მესამე მიმართულებით დასახული მიზნის განსაკუთრებული მნიშვნელობისა, დაგეგმილი ღონისძიებები აუცილებელი თუმცა არასაკმარისია მის მისაღწევად, რადგან მხოლოდ მცირედ მოიცავდა იმ ღონისძიებებს, რომლებიც რეალურად ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელია კონფლიქტისა და კონფლიქტის შემდგომ პერიოდში ქალთა წინააღმდეგ სექსუალური და გენდერული ხასიათის ძალადობის პრევენციისათვის.

### მიმართულება IV

**დაცვა: ომისა და კონფლიქტების შედეგად დაზარალებულ ქალთა უფლებების დაცვა, მათი ფიზიკური, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა**

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის 1889 თანახმად, განსაკუთრებული ყურადღება მიმართულია მშვიდობის მშენებლობის პროცესებში ქალთა მონაწილეობაზე და ქალთა მიერ პოლიტიკური და ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების მნიშვნელობაზე. რეზოლუცია სახელმწიფოებს მოუწოდებს კონფლიქტის შემდგომ რეაბილიტაციის ყველა პროცესში გათვალისწინებული იყოს გენდერის ასპექტები. ასევე, შემუშავდეს სტრატეგია ქალთა და გოგონათა საჭიროებების და პრიორიტეტების გათვალისწინების მიზნით.

[11] საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წერილი #6 15 00682451  / 21.08.2015.
[12] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი #2056476 / 17.09.2015.

ქალთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვის სფეროში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მართლმსაჯულებისა და უსაფრთხოების სერვისების ხელმისაწვდომობას, რომელიც პოსტკონფლიქტურ პერიოდში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ძალადობის გაძლიერებული საფრთხიდან გამომდინარე განსაკუთრებით დიდი ფუნქცია ენიჭება მართლმსაჯულებას, რომლის გენდერული მგრძნობელობის გაზრდის გარეშე, შეუძლებელია ამ გამოწვევასთან გამკლავება. აღნიშნული გულისხმობს გამოძიების, სასამართლო და სასჯელაღსრულების სისტემის მუშაკთა გენდერული თანასწორობის თემაზე გადამზადებას, ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით დანაშაულების შესწავლის და სასამართლოს სპეციალური სახელმძღვანელოების არსებობას და მათ რეალურ ხელმისაწვდომობას.

მონიტორინგის დროს ყურადღება გამახვილდა ამოცანაზე 4.2. იძულებით გადაადგილებული და ომისა და კონფლიქტების შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგონების მიერ მართლმსაჯულების სრული ხელმისაწვდომობის  უფლების რეალიზაციის ხელშეწყობა, რომელიც მოსახლეობისათვის სამართლებრივი კონსულტაციების ხელმისაწვდომობას გულისხმობდა. ეროვნული სამოქმედო გეგმის თანახმად, აღნიშნული ამოცანა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს (შემდგომში სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო) პასუხისმგებლობას წარმოადგენდა, თუმცა 2013 წელს განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებებიდან გამომდინარე, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროდან გავიდა სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახური“, რომელიც აღნიშნული საქმიანობებზე პასუხისმგებელი უწყება გახდა.[13]

საქმიანობა 4.2.1.-ით გათვალისწინებული სამართალდამცავი ორგანოების, მოსამართლეების, იურიდიული დახმარების სამსახურის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და სხვა შესაბამისი უწყებების ტრენინგის შესახებ, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით გათვალისწინებულ საკითხებზე უნდა ჩატარებულიყო, იურიდიული დახმარების ცენტრის მიერ ინფორმაცია მოწოდებული არ ყოფილა. მათი ანგარიშებიდან აღნიშნული ამოცანის შესრულება არ იკვეთება. ხოლო საქმიანობა 4.2.2.-ის ფარგლებში, იურიდიული დახმარების ცენტრმა დეტალურად მოგვაწოდა ინფორმაცია.[14] იძულებით გადაადგილებული და ომისა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგონების მიერ მართლმსაჯულების სრული ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ, მათ დაქვემდებარებაში არსებული  რეგიონული ბიუროების მიერ ჩატარებული, დევნილთა კომპაქტურ დასახლებებსა და ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე სოფლებში გასვლითი კონსულტაციები, რეგულარულ ხასიათს ატარებდა.

[13] სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს წერილი # MCLA 6 15 00677672.
[14] იურიდიული დახმარების ცენტრის წერილი # LA 5 15 00013338 / 18.09.2015.

2012 წელს ვიზიტების დროს, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები მოსახლეობას ადგილზე უწევდნენ სამართლებრივ კონსულტაციებს და ურიგებდნენ საინფორმაციო ბროშურებს. დევნილთა დასახლებებსა და ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე სოფლებში სულ 46 გასვლითი კონსულტაცია გაიმართა. 2013 წელს იურიდიული დახმარების სამსახურის 16-მა ოფისმა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე 17 971 სამართლებრივი კონსულტაცია გაწია. კონსულტაციის მიმღებთა 57%-ს ქალები, 43%-ს კი კაცები წარმოადგენდნენ. 17 971 კონსულტაციიდან 1500-ზე მეტი მომსახურება დევნილებმა მიიღეს. დევნილთა კომპაქტურ დასახლებებსა და ოკუპირებული ტერიტორიების საზღვრისპირა სოფლებში სულ 21 ვიზიტი განხორციელდა, რომელსაც 300-მდე დევნილი დაესწრო. 2014 წელს იძულებით გადაადგილებული, ომისა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, ოკუპირებული რეგიონების მიმდებარე ტერიტორიებზე, იურიდიული დახმარების სამსახურმა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე 20 732 სამართლებრივი კონსულტაცია გაწია. დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებში 8 გასვლითი კონსულტაცია განხორციელდა, სადაც 200-ზე მეტ პირს გაეწია კონსულტაცია.

იურიდიული დახმარების ცენტრი, თავის საქმიანობის ფარგლებში, უმეტესწილად ფარავს გეგმით ნაკისრ ვალდებულებებს, მართლმსაჯულების სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის კუთხით. თუმცა, მონიტორინგის ფარგლებში შეხვედრები იმ სოფლებსა თუ ჩასახლებებში ჩატარდა, რომლებიც აღნიშნულმა სამსახურმა მოგვაწოდა და დაგვიგეგმა. აღსანიშნავია, რომ შეხვედრის დამსწრე პირებისათვის ნაკლებად იყო ცნობილი რეზოლუციების პრინციპების შესახებ ინფორმაცია, არაერთხელ გამოითქვა გულისტკივილი ქალთა ჩართულობისა და გაძლიერების პროგრამების ნაკლებობასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული სამუშაოსი, შეხვედრებზე მოსული მოსახლეობა არ ფლობდა ინფორმაციას მათი სერვისების შესახებ. ზოგადად ნათლად ჩანს, რომ რეგიონებში სერვისების ხელმისაწვდომობა ძალიან დაბალია, იქნება ეს მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული, ოჯახში ძალადობის დაცვასა თუ სხვა სახელმწიფოს მიერ განხორციელებული საქმიანობები. შეხვედრის დამსწრეები არ ფლობდნენ ინფორმაციას არსებული ოჯახში ძალადობისაგან დაცვის ღონისძიებების შესახებ. არ იცოდნენ, რომ აქვთ უფასო იურიდიული კონსულტაციებით სარგებლობის უფლება, არაფერი იცოდნენ თავიანთი უფლებებისა და მათ წინაშე სახელმწიფოს ვალდებულებების შესახებ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მოსახლეობასა და სახელმწიფო სერვისებს შორის დამაკავშირებელი რგოლი აკლია. შესაბამისად, იკვეთება ამ მიმართულებით საინფორმაციო კამპანიებისა თუ სხვა ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებების გაძლიერების აუცილებლობა.

თავის თავად, გაწეული მომსახურებების რიცხვი მაღალია, თუმცა აშკარაა, რომ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ქალებისათვის კვლავ დიდ გამოწვევად რჩება.

აღნიშნული განსაკუთებით ეხება დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებში და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირებს. აუცილებელია სისტემის ორგანიზება იმგვარად, რომ ქალებისათვის დაცვის ღონისძიებები და მართლმსაჯულება ადვილად ხელმისაწვდომი გახდეს, ხოლო ამისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათ წინაშე მდგარი პრობლემების, ხელის შემშლელი ფაქტორებისა და გამოწვევების დეტალური შესწავლა.

ამოცანისთვის 4.3. იძულებით გადაადგილებულ და ომისა და კონფლიქტების შედეგად დაზარალებულ ქალთა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა, სხვადასხვა სახელმწიფო უწყება განისაზღვრა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ამოცანის შესაბამისად იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების და გოგონების პროფესიული გადამზადების საკვალიფიკაციო და მოკლევადიანი კურსები განახორციელა. ასევე, 2013-2014 წელს დაფინანსდა საქართველოს ოკუპირებული რეგიონებთან, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები 471 სტუდენტი, უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე.

**მოკლევადიანი კურსების ფარგლებში  გადამზადებულ ქალთა რაოდენობა**

| **წელი** | **გადამზადებულთა რაოდენობა** |
|---|---|
| 2012 | 218 |
| 2013 | 138 |
| 2014 | 62 |
| 2015 | 17 |
| **საკვალიფიკაციო საგანმანათლებლო კურსებზე ჩარიცხული ქალებისა და გოგონების რაოდენობა** | |
| **წელი** | **გადამზადებულთა რაოდენობა** |
| 2012 | 43 |
| 2013 | 12 |
| 2014 | 24 |
| 2015 | 31 |

იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგონების პროფესიული განათლებისა ხელშეწყობის ფარგლებში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიმუშავა სახელმწიფო პროგრამის პროექტი „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება/გადამზადების“ შესახებ, რომლის მიზანიც შრომის ბაზრის მოთხოვნად პროფესიებში სამუშაოს მაძიებელთა სწავლებითა და სამუშაო ადგილებზე შემდგომი სტაჟირებით მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ამ

გზით სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობაა. გეგმის თანახმად, თანაბარი პირობების არსებობისას, სახელმწიფო პროგრამით სარგებლობის უპირატესობა სხვა მოწყვლად ჯგუფებთან ერთად  იძულებით გადაადგილებულ პირებს მიენიჭებათ[15]. თუმცა პროგრამის შესახებ ინფორმაციას არ ფლობდნენ ჩვენს მიერ რეგიონებში ჩატარებული შეხვედრების დამსწრეები. მათთვის საჭიროების მიუხედავად, არავის უცნობებია ასეთი პროგრამის არსებობისა და ფუნქციონირების თაობაზე.

## მიმართულება V

**დახმარება და რეაბილიტაცია – ქალთა სპეციფიკური საჭიროებების უზრუნველყოფა კონფლიქტის დროს და კონფლიქტის შემდგომ სიტუაციებში**

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციაში 1325 და მის თანმდევ რეზოლუციებში ხაზგასმულია ქალთა სპეციფიური საჭიროებების გათვალისწინება და სახელმწიფო სარეაბილიტაციო სერვისების ჩამოყალიბება, რომლებიც მათ ომის/კონფლიქტის დროს და კონფლიქტის შემდგომ დახმარებას ისახავს მიზნად. ქალთა რეაბილიტაცია არის ერთ-ერთი პირობა მათი დაცვისა და დახმარების ღონისძიებების ეფექტურობისათვის. სარეაბილიტაციო ღონისძიებები ზეგავლენას ახდენს პრევენციასა და სამომავლო პერსპექტივების გაუმჯობესების კუთხით. სწორედ ამიტომ, სამოქმედო გეგმის მეხუთე მიმართულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რგოლია რეზოლუციების პრინციპების გასატარებლად ქვეყანაში.

განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე იყო ამოცანა 5.3. ფსიქო–სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა იძულებით გადაადგილებული, ლტოლვილი და ომისა და კონფლიქტების შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგონებისათვის, ვინაიდან მიზნად არაერთი სარეაბილიტაციო ღონისძიების დაგეგმვასა და გატარებას ისახავდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრომ აამოქმედა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, რომელმაც მოიცვა ომისა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგონების გეგმიური ამბულატორიული მომსახურება, გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება და მშობიარობის სერვისები **(საქმიანობა 5.3.3.).** ასევე, ქვეყანაში მოქმედებს სხვადასხვა დაავადებების (ინფექციური, ტუბერკულოზის, აივ-ინფექცია/შიდსი, ნარკომანია და ა.შ) მართვის პროგრამები, რომელიც ასევე გულისხმობს გეგმაში მითითებული სამიზნე ჯგუფების მომსახურებას. სოფლის ექიმის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო უზრუნველყოფს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის და

[15] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი # 01/64127  25.08.2015.

იძულებით გადაადგილებულ, ომისა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთათვის ამბულატორიული და სტაციონალური მომსახურების მიწოდებას.

ჯანდაცვის პროგრამების ხელმისაწვდომობის კუთხით რეგიონებში, მოსახლეობასთან შეხვედრების შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც აფერხებს პროგრამებით სარგებლობას. აღინიშნა სოფლებში სტომატოლოგის არარსებობის საკითხი. ოჯახის ექიმი ზოგიერთ სოფელში არ არის და დაახლოებით 5-6 კილომეტრის დაშორებით, სხვა დასახლებაშია. სასწრაფო დახმარების ბრიგადა ძალიან დიდ დროს ანდომებს გამოძახებებზე მისვლას, რადგან ცენტრიდან სოფლებამდე დიდი მანძილია, ამასთან, სასწრაფო გადაუდებელი დახმარების მანქანის მიერ გადაყვანის გარეშე ადგილობრივი საავადმყოფოები უარს აცხადებენ მომსახურების გაწევაზე. მოსახლეობის თქმით, ქალთა სკრინინგები, რომლებიც სოფლებსა და დევნილთა ჩასახლებებში ტარდება ფორმალურ ხასიათს ატარებს, იმდენად მოკლე დროით ხდება მომსახურების გაწევა რომ მსურველთა ნახევარი ვერ ასწრებს გამოკვლევებში მონაწილეობის მიღებას.

ეროვნული სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები 5.3.1. 5.3.2. 5.3.3. არ შესრულებულა. იძულებით გადაადგილებული, ლტოლვილი, ომისა და კონფლიქტების შედეგად დაზარალებული ქალებისათვის ფსიქო–სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის კუთხით ჯანდაცვის სამინისტროს მიერ სპეციალური ღონისძიებები არ განხორციელებულა. თუმცა, მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სამინისტროს „ცხელ ხაზზე“ ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთა ზარების შემოსვლის შემთხვევაში, მათი შესაბამისი სერვისის მქონე ორგანიზაციაში გადამისამართება შესაძლებელია. თუმცა კი ასეთი სერვისების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს.

უნდა აღინიშნოს, რომ იძულებით გადაადგილებული, ომისა და კონფლიქტების შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგონებისათვის არსებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობის კუთხით, სამინისტროს წარმომადგენლები სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის“ სერვისებზე მიგვითითებს, რომლებიც ახორციელებენ მომსახურებას ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის და მათი მომსახურება ხელმისაწვდომია ყველა პირისთვის, ვისაც ასეთი დახმარება შეიძლება დასჭირდეს. მაგრამ ზემოხსენებულ სპეციფიურ ჯგუფს არ აქვს საკმარისი ინფორმაცია აღნიშნული სერვისების შესახებ. ამავდროულად ფონდი არ მუშაობს ქალთა მიმართ ძალადობასა და ომის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგონებისათვის სპეციფიურ საჭიროებებზე. მათი საჭიროებების შესახებ უნდა განხორციელებულიყო კვლევა, რომელიც საანგარიშო პერიოდში ასევე არ ჩატარებულა.

მსხვერპლთა რეაბილიტაციის მართვის კუთხით ჯანდაცვის სამინისტროს ანგარიშში ასევე წარმოდგენილია სოციალურ მუშაკთა გადამზადების ეტაპები, რომელიც მხოლოდ ოჯახში ძალადობასა და ბავშვის მიმართ ძალადობას საკითხებთან დაკავშირებით იქნა განხორციელებული და არ ითვალისწინებს კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ პირთა

დახმარებას სხვა თემებთან დაკავშირებით. აღნიშნულია ასევე სოციალური მომსახურების სააგენტოს ცხელი ხაზი, რომელიც ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევების არსებობისას შეიძლება იქნას გამოყენებული.

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული მექანიზმები არასაკმარისია რეზოლუცია 1325-ისა და მისი თანმდევი რეზოლუციების მიზნების მისაღწევად. აღნიშნული სერვისები ძალიან სპეციფიურია, ამავდროულად ოჯახში ძალადობისაგან დაცვის ცხელი ხაზი უფასო არ არის, ხოლო სოციალური მომსახურების სააგენტოს ცხელი ხაზი არ არის 24 საათიანი და მათი მომსახურება მხოლოდ სამუშაო საათებშია ხელმისაწვდომი, გარდა ამისა, როგორც უკვე აღინიშნა მათ ძალიან სპეციფიური დანიშნულება აქვთ და არ შეიძლება განხილულ იქნან სახელმწიფო სამოქმედო გეგმის ამოცანების მიღწევის რეალურ მექანიზმად.

რაც შეეხება გეგმით გაწერილ ფსიქოლოგიურ მომსახურებას იძულებით გადაადგილებულ, ომისა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგონებისათვის, სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ კომპეტენციას სცილდება ფსიქოლოგიური მომსახურება, რადგან იგი არ ითვლება სამედიცინო საქმიანობად, შესაბამისად სამინისტრო არ უნდა ყოფილიყო გეგმაში აღნიშნული ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი. რაც ასევე ვერ იქნება მტკიცე არგუმენტი.

რეგიონებში გამართული შეხვედრების დროს განსაკუთრებული სიმწვავით საუბრობდნენ ფსიქოლოგიური დახმარების პროგრამების აუცილებლობაზე. აღინიშნა, რომ იმ სოფლებში სადაც ასეთ სერვისს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები აწოდებდნენ, ხარისხი და პროფესიონალიზმი ძალიან დაბალი იყო. ხურვალეთში დაისვა საკითხი ფსიქოლოგისათვის განდობილი ინფორმაციის კონფიდენციალობასთან დაკავშირებით, რადგან რამდენჯერმე ფსიქოლოგმა ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაცია გაამჟღავნა, რის შედეგადაც მოსახლეობამ შეწყვიტა ამ მომსახურებით სარგებლობა.

წეროვანში ფსიქოლოგის მომსახურებას დაბალი ინტერესით შეხვდნენ, რადგან მოსახლეობა არ ფლობს საკმარის ინფორმაციას აღნიშნული სერვისის შესახებ. განსაკუთრებით აღინიშნა ასეთი მომსახურების მნიშვნელობა სამხედრო ბაზებთან და საოკუპაციო ზოლთან ახლომდებარე სკოლებსა და საბავშვო ბაღებში, ვინაიდან ბავშვები აქ განსაკუთრებული სტრესის ქვეშ იმყოფებიან.

ზოგადად ომისა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული პირებისათვის აუცილებელია სარეაბილიტაციო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, მითუმეტეს, რომ თავად მოსახლეობა ამ საჭიროებას ნათლად ხედავს და ითხოვს. თავისთავად არ საუბრობენ იმ ზიანზე, რომელიც მათ საომარი მოქმედებების დროს მიადგათ, თუმცა გარდაუვლად მნიშვნელოვანია სწორედ კონფლიქტების დროს მიღებული ფსიქო-ემოციური ტრავმების სამკურნალო სერვისები იქნას გათვალისწინებული.

როგორც მოსახლეობასთან შეხვედრებიდან თუ სხვადასხვა უწყებებიდან მოპოვებული ინფორმაციიდან დგინდება, ასევე არ არსებობს სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა სარეაბილიტაციო პროგრამები. ნათელია, რომ კვლავ თავს იჩენს გეგმის ფარგლებში გადანაწილებული ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი ორგანოების კომპეტენციისა და შესაბამისობის საკითხი. თუმცა მნიშვნელოვანი იყო დროულად გამოვლენილიყო ასეთ ტიპის ხარვეზები და მომხდარიყო გეგმის ხელახალი გადახედვა, რადგან ხარვეზებისაგან საბოლოოდ დაზარალდნენ ის პირები, რომლებსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა დათმობოდათ სამოქმედო გეგმის ფარგლებში.

შეფასებისათვის შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული აქტივობების უმრავლესობა არ იყო სპეციფიურად გეგმის შესრულებისათვის გატარებული, არამედ ირიბად და მცირედით ფარავდა ნაკისრ ვალდებულებებს.

## დასკვნა

მონიტორინგის შედეგებიდან დგინდება, რომ სამოქმედო გეგმის მიხედვით ნაკისრი ვალდებულებები ძირითადად განხორციელდა თავდაცვის სამინისტროს შიდა სტრუქტურული ცვლილებების დონეზე. თუმცა მოსახლეობაზე, ვინც რეალურად დგას პრობლემების წინაშე, არის კონფლიქტის შედეგად დაზარალებული, დევნილი თუ ცხოვრობს კონფლიქტური რეგიონების მიმდებარე სოფლებში, სამოქმედო გეგმის ზეგავლენა მინიმალური იყო. ძირითადად მათთან არასამთავრობო ორგანიზაციები მუშაობდნენ და სახელმწიფო სტრუქტურების მიერ განსაკუთრებული ღონისძიებები არ განხორციელებულა.

არ გამოიკვეთა არც ერთი ღონისძიება, რომელიც მოსახლეობის სარეაბილიტაციო თუ გაძლიერების მიზნით. იქმნება შთაბეჭდილება, რომ იმ ნაწილში, სადაც გეგმა ქალებისა თუ გოგონების ინტერესებს უკავშირდება, არც ერთი სტრუქტურა ნაკისრ ვალდებულებებს სათანადოდ არ ასრულებს.

ამასთან, გეგმას, როგორც უკვე აღინიშნა, აქვს მნიშვნელოვანი ხარვეზები ამოცანების შემსრულებელი სტრუქტურების განსაზღვრის კუთხით. ზემოთ აღწერილი სტრუქტურები საუბრობენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებზე, რომელიც სცილდება გეგმის მიხედვით გაწერილ ღონისძიებებს და მათ შესრულებას ამიტომ შეუძლებელს ხდის. ეს ღონისძიებები კი სწორედ მოსახლეობისათვის განკუთვნილ სერვისებს უკავშირდება, რომელთა შემუშავებაც არ მოხდა.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო სტრუქტურების მიერ წარმოთქმული არგუმენტები სრულიად მისაღებია, მათ არ უნდა მოეხდინათ ზეგავლენა კონკრეტული ჯგუფების

სერვისების ხელმისაწვდომობაზე, რადგან დროულად უნდა მომხდარიყო შეფასება და ვალდებულებების დელეგირება. სამოქმედო გეგმის შემუშავებაში ჩართული იყო ყველა სახელმწიფო სტრუქტურა, შესაბამისად შესაძლებელი იყო, მათი მხრიდან დროულად მომხდარიყო ისეთი ამოცანების იდენტიფიცირება, რომელთა შესრულებასაც ვერ შეძლებდნენ და თავიდანვე გეგმა გაწერილიყო ხარვეზების გარეშე. ამგვარი მიდგომა, როდესაც პროცესში ჩართულობისა და უფლებამოსილებების დელეგირების პროცესებში მონაწილეობის მიუხედავად, ამოცანები არასწორად გადანაწილდა, იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ სახელმწიფო არასათანადოდ აფასებს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების მნიშვნელობას და მათ განხორციელებას საჭირო გულისხმიერებით არ უდგება.

ახალი ეროვნული სამოქმედო გეგმის უკეთ გასაწერად, ფოკუს ჯგუფების შეხვედრების შედეგების თანახმად, მნიშვნელოვანია შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებების ყველა რგოლის მონაწილეობა, მათ შორის, პირველ რიგში ვინც უშუალოდ არის ადგილობრივ დონეზე ჩართული საქმიანობაში, რადგან მათ იციან საჭიროებები და არსებული ხარვეზები.

აუცილებელია მომავალში კარგად გაანალიზდეს, თუ რა პრობლემების წინაშე დგანან კონფლიქტის შედეგად დაზარალებული და დევნილი ქალები და გოგონები, გადაიხედოს სახელმწიფო რესურსები, გამოიყოს შესაბამისი ბიუჯეტი და მხოლოდ ამის შემდეგ გაიწეროს სამოქმედო გეგმა, რომელიც ასახავს რეზოლუცია 1325 და მისი თანმდევი რეზოლუციების პრინციპებს.

## რეკომენდაციები

### საქართველოს პრემიერ–მინისტრის აპარატს:

- ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში შესწავლილი იქნას დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებები და შესწავლის შედეგებზე დაყრდნობით დაიგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები
- ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების ყველა ეტაპზე უზრუნველყოფილი იქნას დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ინფორმირება
- ზედამხედველობა გაეწიოს შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების ჩართულობასა და მათ მიერ ეროვნული სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების განუხრელ შესრულებას, დაიხვეწოს ანგარიშგების სისტემა
- ახალი ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაიგეგმოს აქტივობები, რომლებიც გაზრდის ოკუპირებული რეგიონების მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთა ინფორმირებულობას არსებული რისკების შესახებ და ადგილობრივად არსებული პრობლემების გადაჭრის გზებთან დაკავშირებით

- გეგმით ნაკისრი ვალდებულებებისა თუ ამოცანების პასუხისმგებელი ორგანოების მიერ შეუსრულებლობის შემთხვევაში მოხდეს დროული იდენტიფიცირება და საჭიროებისამებრ დელეგირება სხვა შემსრულებელი ორგანოსათვის, რათა თავიდან იქნას აცილებული გეგმის შესრულების ხარვეზები

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს**

- გადაიხედოს და დაიხვეწოს ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამოქალაქო თავდაცვის სწავლება, საჭიროების შესაბამისად

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:**

- დაიგეგმოს ფსიქოლოგიური დახმარების და რეაბილიტაციის პროგრამები დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის
- მოწესრიგდეს სოფლებში ჯანდაცვის პროგრამებისა და მომსახურების ხელმისაწვდომობის საკითხი, დევნილთა ჩასახლებებში დაინერგოს სტომატოლოგის მომსახურება, ასევე გადაიხედოს და დარეგულირდეს ოჯახის ექიმის რეალური ხელმისაწვდომობის საკითხი. ასევე სასწრაფო დახმარების გამოძახების შემთხვევებზე დროული რეაგირებისთვის გადაიხედოს არსებული რესურსები და დაიგემოს საჭიროების შესაბამისად; ქალთა ჯანმრთელობის შემოწმების პროგრამები (სკრინინგი) დაიგეგმოს იმგვარად, რომ ხელმისაწვდომი გახდეს ყველა ბენეფიციარისათვის გამოკვლევებისათვის აუცილებელი, სათანადო დროისა და ხარისხის გათვალისწინებით
- შემუშავდეს ომისა და კონფლიქტების შედეგად დაზარალებულ პირთა რეაბილიტაციისა და დახმარების პროგრამები, ასევე სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა სარეაბილიტაციო ღონისძიებები და ომისა და კონფლიქტის დროს მიღებული ფსიქო-ემოციური ტრავმების სარეაბილიტაციო მომსახურება

**ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებს:**

- ხელი შეეწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ქალთა მონაწილეობას, გადაწყვეტილების მიღების პროცესებსა და თემის განვითარებისაკენ მიმართულ ღონისძიებებში
- დაიგეგმოს და განხორციელდეს მოსახლეობის ჩართულობის ამაღლებისაკენ მიმართული ტრენინგები და კამპანიები, ადგილობრივ დონეზე ბიუჯეტირებისა თუ ღონისძიებების დაგეგმვის პროცესში მონაწილეობის გზების შესახებ, რათა კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობისა და განსაკუთრებით ქალთა ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ადგილობრივ დონეზე შესაძლებელი გახდეს

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:**

- დაიგეგმოს ცნობიერების ამაღლებისა და სამოქალაქო განათლების სწავლება გენდერული თანასწორობის პრინციპების შესახებ, რათა გაიზარდოს ქალთა მონაწილეობა და მმართველ პოზიციებზე ქალთა ოდენობები
- დაიგეგმოს ტრენინგები მეთაურების, საპტრულო პოლიციის თანამშრომლებისა და სხვა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისათვის გენდერულ თანასწორობის თემასა და რეზოლუციების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლების კუთხით

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს:**

- გადაიხედოს და გაუმჯობესდეს ომისა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალთა მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის საკითხი, შესწავლილ იქნას მართლმსაჯულების სისტემაზე ხელმისაწვდომობის ხელისშემშლელი ფაქტორები.